საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერწოს ტბა



ერწოს ტბა, ტბა აღმ. საქართველოში, ჯავის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილის სათავის მახლობლად, რაჭისა და ლიხის ქედების შესაყართან. მდებარეობს ტექტონ. ქვაბულში, ზ. დ. 1710 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. 0,31 კმ². მაქს. სიღრმე 19 მ, საშ. სიღრმე 2,1 მ. უკავია 4 კარსტული ძაბრი. საზრდოობს წვიმით და თოვლის წყლით. მაქს. დონე მაის-ივნისშია, მინ. – აგვ.-სექტ-ში. ზამთარში, თითქმის 5 თვის განმავლობაში, იყინება. ტბის წყლით საზრდოობს მდ. ერწოსწყალი (ყვირილის ერთ-ერთი მდგენელი). ტბის წყალი სუსტად მინერალიზებულია. ტბაში თევზი არ არის. ე. ტ. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში”.

ი. აფხაზავა